85
968/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585/3

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

39

№ 7 (330)

1968 წლის ივლისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 7 (330) ივლისი 1968 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

103. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

104. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მახარაძის, თელავისა და ორჯონიკიძის რაიონებში მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) ჩატარებისა და მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 26 ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

განყოფილება მეორე

105. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

106. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. მებურიშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

107. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ს. ვ. ბარხუდარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

108. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

109. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა. სალარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

110. ბრძანებულება საქართველოს სსრ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. პ. ხავინასის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

111. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ალიმბარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

112. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ე. ბოკუჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. ზლატკინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

115. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. ხოფერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

103 საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი".

2. საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება მიენიჭებათ ჟურნალისტთა კავშირის წევრებს, რომლებიც შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელეხედვის ორგანოებში, სპეციალობის მიხედვით მუშაობენ არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებული დამსახურება აქვთ ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

3. საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მინიჭება ხდება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წარდგინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1968 წლის 4 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

104 „მახარაძის, თელავისა და ორჯონიკიძის რაიონებში მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) ჩატარებისა და მიღებული დადგენილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 26 ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მახარაძის, თელავისა და ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომებმა სერიოზული მუშაობა გაწიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 26 ივნისის დადგენილების შესასრულებლად.

ამ რაიონების აღმასკომებმა განიხილეს აღნიშნული დადგენილება და დასახეს ღონისძიებანი სოფლებში მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) ორგანიზებულად ჩატარებისა და ყრილობების მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

1967-68 წლებში მახარაძის რაიონში ჩატარდა 28 სასოფლო ყრილობა, ორჯონიკიძის რაიონში — 19, თელავის რაიონში — 26, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდა სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

მოქალაქეთა საერთო კრებებზე (სასოფლო ყრილობებზე) განხილულია: დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, მოსახლეობის სავაჭრო, სამედიცი-

ნო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ახალგაზრდობის აღზრდის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, ბუნების დაცვის, სოციალისტური კანონიერების და სხვა საკითხები; ისმენენ მოხსენებებს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, რაიონული საბჭოების აღმასკომების ცალკეული განყოფილებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

ყრილობის ჩატარების დროსა და დღის წესრიგის შესახებ წინასწარ ეცნობება მოსახლეობას ადგილობრივი რადიოს, პრესისა და დეპუტატების საშუალებით.

სათანადო ღონისძიებანი ტარდება სოფლებში მოქალაქეთა საერთო კრებებზე (სასოფლო ყრილობებზე) მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის.

ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებები საბჭოების დეპუტატების და აქტივის საშუალებით დაჰყავთ მოსახლეობამდე და მათივე თაოსნობით მოსახლეობა აქტიურად ებმება ამ დადგენილებათა განხორციელებაში.

სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა, ზემდგომი ორგანოების დახმარებით განახორციელეს სასოფლო ყრილობების დადგენილებებით გათვალისწინებული მრავალი საკითხი. ასე მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. ბახვში დამატებით გაიხსნა ერთი საბავშვო ბაგა, თელავის რაიონის სოფ. ნაფარეულში მთავრდება საშუალო სკოლის ტიპიური შენობა და კულტურის სახლი, აშენდა უნივერსალური მაღაზია სოფ. იყალთოში, ორჯონიკიძის რაიონის სოფ. მოლითში აშენდა საექიმო პუნქტის შენობა, სოფ. ლაშეში გაიხსნა ტანსაცმლის სამკერვალო, საპარიკმახერო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები.

სასოფლო, სადაბო და რაიონული საბჭოების აღმასკომები პერიოდულად იხილავენ მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების მდგომარეობას და ღებულობენ ზომებს მათ განსახორციელებლად.

ასე მაგალითად: ორჯონიკიძის რაიონის ლაშეს, მოლითის, წიფის და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა მიმდინარე წელს შეამოწმეს 1967 წლის სასოფლო ყრილობებზე მიღებული დადგენილების შესრულების მდგომარეობა. თელავის რაიონის იყალთოს სასოფლო ყრილობამ განიხილა სასოფლო ყრილობის დადგენილების „სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა და სხვა.

მახარაძისა და თელავის რაიონებში პრაქტიკაშია ინფორმაცია მოქალაქეთა საერთო კრებებზე (სასოფლო ყრილობაზე) წინა ყრილობაზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ მახარაძის, თელავისა და ორჯონიკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომები და ამავე რაიონების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები მთლიანად ვერ ასრულებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 26 ივნისის დადგენილებას. არ ისმენენ წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) დადგენილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა შესრულების შესახებ. სათანადო ყურადღება არ ექცევა სოფლის ყრილობების მომზადებისა და ჩატარების დადებით გამოცდილების განზოგადებას. ზოგჯერ სასოფლო ყრილობა იღებს ისეთ დადგენილებას, რომლის შესრულების რეალური საფუძველი არ არსებობს. ნაკლოვანებებია სასოფლო ყრილობების ოქმებისა და მიღებულ დადგენილებათა გაფორმების საქმეში. ორჯონიკიძის რაიონში დროულად არ იხილავენ სასოფლო ყრილობების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას. ადგილობრივ პრესაში ნაკლებად შუქდება მასალები სასოფლო ყრილობების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მახარაძის, თელავისა და ორჯონიკიძის რაიონების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს:

ა) სისტემატურად ჩაატარონ მოქალაქეთა კრებები (სასოფლო ყრილობები), მათ განსახილველად შეიტანონ აქტუალური საკითხები სოფლის ცხოვრებიდან და მიიღონ გადაწყვეტილებანი სათანადო ფულადი და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით;

ბ) მტკიცე კონტროლი დააწესონ მოქალაქეთა საერთო კრებებზე (სასოფლო ყრილობებზე) მიღებულ დადგენილებათა დროულად შესრულებაზე. ამ საქმეში ფართოდ ჩაებან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მოსახლეობის ფართო აქტივი;

გ) აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად მოისმინონ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულების და ორგანიზაციების ხელმძღვანელების ინფორმაციები მოქალაქეთა საერთო კრებებზე (სასოფლო ყრილობებზე) მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

დ) მეტი ყურადღება მიაქციონ სასოფლო ყრილობების შესახებ მასალების გაშუქებას ადგილობრივ პრესასა და რადიოგადაცემებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) საჭირო დახმარება გაუწიონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) ჩატარების ორგანიზაციაში;

ბ) სისტემატურად შეისწავლონ და ფართოდ განაზოგადონ სასოფლო ყრილობების მომზადებისა და ჩატარების დადებითი გამოცდილება;

გ) პერიოდულად მოისმინონ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების მოხსენებანი მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) ჩატარებისა და მიღებულ დადგენილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს სათანადო ყურადღება მიაქციონ მოქალაქეთა საერთო კრებების (სასოფლო ყრილობების) მიერ დაყენებული საკითხების დროულად განხილვასა და შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1968 წლის 4 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

105 **მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით „**წყალწაღებულთა გადარჩენისათვის**“ რიგითი ჯარისკაცი — **გენერალოვი ევგენი ვასილის ძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 4 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

106 **ამხ. ი. დ. მებურიშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით გურჯაანის რაიონის კულტურის სახლის სახალხო თეატრის რეჟისორს ამხ. იოსებ დავითის ძე **მებურიშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1968 წლის 12 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

107 **კომპოზიტორ ს. ვ. ბარხუდარიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით კომპოზიტორი სერგო ვასილის ძე **ბარხუდარიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 **წ**ლის 12 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

108 ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების ოცდაათ წელთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 16 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

109 ამხ. შ. ა. სალარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შალვა ალექსანდრეს ძე **სალარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 16 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

110 ამხ. მ. პ. ხავთასის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით ფოთის მუსიკალური სკოლის დირექტორი ამხ. მიხეილ პორფილეს ძე **ხავთასი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 16 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

111 ამხ. ა. ნ. ალიმბარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საავტომობილო გზების მშენებლობის და დაპროექტების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „სოიუზდორპროექტის“ თბილისის ფილიალის დირექტორი ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ალიმბარაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 17 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

112 ამხ. გ. ე. ბოკუჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს „საქმთავარენერგოს“ უფროსის მოადგილე ამხ. გიორგი ერასტის ძე **ბოკუჩავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 17 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

113 საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის **საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ სა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს რესპუბლიკური საბჭო დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 22 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

114 ამხ. მ. ი. ზლატკინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის წიგნის გამომცემლობის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით გამომცემლობა „მერანის“ სათარგმნი ლიტერატურის რედაქციის მთავარი რედაქტორი ამხ. მარკ იზრაელის ძე **ზლატკინი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 26 ივლისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

115 ამხ. პ. ი. ხოფერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კვების მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. პანტელეიმონ ივანეს ძე **ხოფერია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 26 ივლისი.

განკოფილება მესამე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომაზე მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის ამხ. მ. ლომიძის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის მიზანშეწონილობის მარეობის შესახებ.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ კომისიის წევრი დეპუტატები: მ. ბიბილაშვილი, ვ. მაისურაძე, ბ. გოცირიძე, ა. წურწუმია, ა. ჩიქოვანი, ი. ყიფიანი და პროფესორი თ. წერეთელი.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. კარანაძემ.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების გაერთიანებული სხდომა. მოისმინეს სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. საბაშვილის მოხსენება ახმეტის, გორის, გუდაუთის, საჩხერის, ქედისა და ჯავის რაიონებში ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

განსახილველ საკითხზე კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: შ. ვერულაშვილი, უ. ხანიკაევი, ნ. ყოჩიაშვილი, შ. ეცადაშვილი, მ. ბარათაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ჩოდრიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ლაღიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყობის სამმართველოს უფროსი ი. ბაღაშვილი, ტყის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ი. ნონეშვილი.

განხილულ საკითხზე კომისიებმა მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა.

მოისმინეს გორის და ცაგერის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ბ. გოცირიძის და კ. გურჩუმალიძის მოხსენებები ამ რაიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრმა დეპუტატებმა ნ. ჩხოლორიამ, ვ. ქერქაძემ, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. მიქაუტაძემ.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ჟვანიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ამხ. თ. კავთიაშვილის და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ბუხრაძის მოხსენებები საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ქალთა შრომის გამოყენების მდგომარეობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატებმა: დ. გელაშვილმა, ს. ჭკადუამ, მ. დანელიამ.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

* * *

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. გელაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის 1968 წლის პირველი ნახევრის შესრულების წინასწარი შედეგების შესახებ.

საკითხის განხილვაში კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ს. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ მ. ზოდელავამ, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჩოდრიშვილმა, ცხაკაიას და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა რ. ხოფერიამ და შ. კობაძემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ს. ცომაიამ, აფხაზეთის სსრ ფინანსთა მინისტრმა დ. ჯიჭონაიამ, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ტრაპაიძემ, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გიგოლაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანი"-ს თავმჯდომარის მოადგილემ რ. დოლიძემ.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო მთელი რიგი კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისადმი, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებისადმი.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 4 ივლისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ — დაჯილდოვა 281 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		4
„ რუსთავიდან		6
„ ჭიათურიდან		20
„ ტყიბულიდან		4
ახალქალაქის	რაიონიდან	32
ბოგდანოვკის	„	12
ბოლნისის	„	69
დუშეთის	„	15
ზუგდიდის	„	19
თიანეთის	„	1
თეთრიწყაროს	„	6
ლაგოდეხის	„	24
ლანჩხუთის	„	3
მესტიის	„	9
ორჯონიკიძის	„	11
ყაზბეგის	„	5
ყვარლის	„	25
ცაგერის	„	4
ხაშურის	„	12

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 16 ივლისის ბრძანებულებით რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ზესტაფონის რაიონში — კვალითის სასოფლო საბჭოდან გამოყოფილია სოფლები ცხრაწყარო, ზედა კვალითი, ძლოურ-დანეთი და შექმნილია ცხრაწყაროს სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ცხრაწყაროში.

თერჯოლის რაიონში — კვახჭირის სასოფლო საბჭოდან გამოყოფილია სოფელი ჭოგნარი და შექმნილია ჭოგნარის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ჭოგნარში.

სამტრედიის რაიონში — ეწერის სასოფლო საბჭოდან გამოყოფილია სოფელი იანეთი და შექმნილია იანეთის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ იანეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიაკოვსკის რაიონში — ობჩის სასოფლო საბჭოდან გამოყოფილია სოფელი მეორე ობჩა და შექმნილია მეორე ობჩის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მეორე ობჩაში.

დმანისის რაიონში — ამამლოს სასოფლო საბჭოდან გამოყოფილია სოფლები ზემო ოროზმანი, ქვემო ოროზმანი, ვაკე, ჭანტიანი, მთისძირი და შექმნილია ქვემო ოროზმანის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქვემო ოროზმანში.

ორჯონიკიძის რაიონში — ვარძიის სასოფლო საბჭოდან გამოყოფილია სოფელი ხიდარი და შექმნილია ხიდარის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ხიდარში.

წალენჯიხის რაიონში — ჯგალის სასოფლო საბჭოდან გამოყოფილია სოფლები ლარა და მედანი და შექმნილია მედანის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მედანში.